ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3056406

ნომერი: AR1470857

თარიღი : 16.01.2017

გაცემის თარიღი : 23.01.2017

გაცნობის თარიღი : 23.01.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოსკოვის გამზირზე, წისქვილკომბინატის მოპირდაპირედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ვაშაკიძე პ/ნ 01024003923
- თბილისი ატენის ქ. N 18

ორგანიზაცია:

- დავით ვაშაკიძე არქიტექტს კოდი: 405046258

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის, მიხედვით ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ–2) (და მცირედით სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)). ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14–39 დადგენილების, მუხლი 16, პუნქტი 1, ქვეპუნქტი ს)–ს თანახმად განაშენიანების რეგულირების პარამეტრებია: მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი 700 კვ.მ. მინიმალური სიგანე 20 მეტრი და მინიმალური სიღრმე 30 მეტრს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთი არ აკმაყოფილებს მითითებულ ნორმებს, საპროექტო დავალებით კი არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციით ხდება არსებითი განვითარება, სამსახური თქვენს მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.